წელიწადი მე-2-ე

შაბათი, 30 აპრილი

სამშობლო

ფასი: წლიურათ 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შა[illegible]ტით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 344 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 344

ტელეფონი № 76.

ტელეფონი № 76.

სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლება სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.

გრძელდება ხელის მოწერა 1916 წლის ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

წელიწადი მეორე „სამშობლო“-ზე წელიწადი მეორე

„გაზეთი გამოვა ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით.

წლიურათ გაზეთი ეღირება 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., სამი თვით 2 და 40 კ., თვიურათ 80 კ., ცალკე ნუმერი 5 კ. სოფ. სამკითხველოებს დაეთმობათ 6 მანეთად მასწავლებლებს 7 მ. წელიწადში.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე. გამომცემელი ამხანაგობა „სამშობლო“

ღრმად დამწუხრებულნი: ალექსანდრე, მელქისედექ, და რაჟდენ ლუკას ძენი გრიგოლიები, კნეინა ბაბილინა მხეიძისა, ფედოსი ენუქიძისა, ნინა ქვარიანისა, ოლღა მგალობლიშვილისა, ლეონტი, სამსონ და დავით გრიგოლიები, მენიკი იმნაიშვილისა, მენიკი სარდანის ასული, პეპულო სპირიდონის ასული, სონიჩკა პეტრეს ასული, ნატალია გახუს ასული გრიგოლიებისა, სვიმონ ზაალის ძე ენუქიძე, კონსტანტინე სპირიდონის ძე ქვარიანი და ალექსანდრე ფილიპეს ძე მგალობლიშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას 27 აპრილს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ძვირფასი და დაუვიწყარის: პირველნი და მეორენი მამისა, მესამენი ძმისა, მეოთხე მამათილისა, მეხუთენი მაზლისა და მეექვსენი სიმამრისა მღვდლის

ლუკა (ფარნაოზი) მაქსიმეს ძის გრიგოლიასას

პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 6 საათზე სოფელ საჭილაოს საკუთარ სახლში.

გამოსვენება და დაკრძალვა დანიშნულია კვირას, პირველ მაისს დილის 10 საათზე იდარის წმინდის გიორგის ეკლესიაზე.

152 1—1

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 28 აპრილიდან განსაკუთრებით მოზრდილთათვის ნაჩვენები იქნება

მოსამსახურე ქალი.

თანამედროვე დრამა 3 ნაწ. კუპრინის ნაწარმოებიდან ცნობილ მსახიობთა: ჩერნიავსკის, მაჩურინის და ტურჟანსკის მონაწილეობით.

ანტომამ არ იცის როგორ მოექცეს ქალებს

კომედია ფარსი 2 ნაწ ანტ. ფერნტნერის მონაწილეობით.

ანონსი: ორშაბათიდან, 2 მაის დან **ვოროგიევი მთების საიდუმლოება** დრამ. 5 ნაწ. მოსკოვის წარმ. ცხოვრ. მონაწილეობენ: ქალბატონ კორშა ნ. ვალთვისა, ბატონ ვ. კ ესტლერი, ნ. კრივცოვა, ნ. ნაკოლაევი, ვ. კვანინა, ა სოკოლოვი, დადგმულია კრივცოვისაგან. მხოლოდ მოზრდილთათვის

ელექტრო „ამპირი“ თეატრი

ხუთშაბათიდან 28 აპრილიდან ახალი პროგრამა

დედოფალი ეკრანისა.

დრამა 5 ნაწილად ვოზნესენსკის სცენარიით, გამოჩენილ არტისტების: იურენევას, პოლონსკის და ხმარას მონაწილეობით.

ანონსი: ორშაბათიდან, 2 მაისიდან **სისხლის კოშკი.** დრამა 4 ნაწილად ვლ. იზუმრუდოვის რეჟისორობით. მონაწილეობენ: ვ. ვ მაქსიმოვა და მ რ. რეიზენი. **გმადლობ .. არმოველოდი.** ორიგინალური კომედია ა ჩეხოვის მოთხრობ.

ადგილების ფასი „ამპირსა“ და „რადიუმში“: ლოჟა 85 კაპ., 1 ადგ. 75 კაპ., 2, 50 კაპ., 3, 30 კაპ. მოწაფეთათვის: 2 ადგ 30 კაპ., ჯარის კაცთათვის მესამე ადგილი 20 კაპ.

ექიმი შალვა კოკოჩაშვილი იღებს ბავშთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშუადღევის 1—3 საათ. და საღამოს 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ნიჟარაძის № 46, ტელეფონი № 87
14 თ.

ექიმი გაბრიელ იოსების ძე მოკიილის ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ 5-7 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

ექიმი ა. მ. ასათიანი. განაახლა ავათმყოფების მიღება (ქალურ) ვენერიულ და შინაგან ავათმყოფების ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდი, პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 2. თ.
11

ექიმი მულინი ყელის, ცხვირის და ყურების ლეჩულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი, კვირას გარდა. თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.
10

სკოლა ტყეში

3750 ფუტია ზღვის დონაზე **წელიწადი მესამე**

საზაფხულო ახალშენი ჯანით სუსტი ბავშვებისათვის წაღვერის ტყეში.

ზ. გ. არჯევანიძისა.

სეზონი გაიხსნება 20 მაისს.

ბავშვების ჩაწერა შეიძლება: ქუთაისში, გიორგი ნიორაძესთან

უმაღლეს კურსდამთავრებული ჯგუფი

ამზადებს

მოწაფეებს საშუალო სასწავლებელთა ყველა კლასებისათვის და აგრეთვე სხვადასხვა მოწმობის მ საღებ გამოცდებისათვის. პირობების გაგება შეიძლება საღამოს ყოველ დღე შემდეგი მისამართით: თბილისის ქ. სახლი გიორგი გურგენიძისა. თ.

ექიმი ი. ჩარიძოვი კალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12 — საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიხანოვის სახლში. თ.

ბებია მ. მ. კოხრეიძე უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.

ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფელდშერის მაღაზიის პირდაპირ.

უმაღლესი მთავარ-სარდლის შტაბისაგან.

28 აპრილი.

დასავლეთის ასპარეზი.

იაკობშტადტისა, დვინსკისა და ბარანოვიჩის ხაზზე მტერმა ძლიერი საარტილერიო ცეცხლი დაანთო, ოლიკის დასავლეთით მტერი შეეცადა ჩვენს თხრილებთან მოახლოებას, მაგრამ უკუვაგდეთ შუა სტრიპის აღმოსავლეთით პოდგაიციდან წამოვიდა გველის ტანის მსგავსი ჰაეროსტატი და მტრის ზანაკში, გუსიატინთან დავარდა.

კავკასიის ასპარეზი.

ზღვის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა პლეტანის ჩრდილო დასავლეთით წინ წაიწიეს ავკალონის ველზე ოსმალები ჩვენი რაზმის ერთ ნაწილს გარსშემოერტყენ და ტყვეთ მიჰყავდათ მაგრამ ამ დროს უნტერ-ოფიცერის პატიაშვილის მეთაურობით, ჩვენმა რაზმმა მტერს მედგრათა და თავგანწირულათ შეუტია და თავი გაინთავისუფლა. ერზინჯანის მიმართულებით ოსმალების იერიშები შევაჩერეთ.

— —

დანარჩენი დეპეში იხილეთ მე-3-ე გვერდზე

ომის ამბები.

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

პეტროგრადის სამხედრო ავტორიტეტის აზრი.

პეტროგრადის სამხედრო მიმომხილველების აზრით უკანასკნელი ცნობები საბუთს არ გვაძლევს ვიფიქროთ, რომ გერმანიას თითქო რუსეთის ფრონტის წინააღმდეგ შემუშავებული გეგმა რამ ჰქონდეს. ის ახლაც ისე, როგორც წინა დღეებში მხოლოდ საარტილერიო ცეცხლით აძლიერებს რუსეთის ფრონტის ცენტრალურ პუნქტებში, სადაც ქვეითა ჯარის აქტიურ მოქმედებას ვერ ვამჩნევთ; და თუ ზოგ ადგილას არტილერიას ძლიერათ ამოქმედებენ, ეს იმიტომ, რომ მოპირდაპირის ყურადღება იმ ადგილებზე მიიქციონ, მაშინ როდესაც იმავე დროს სხვა ადგილებში და სხვა მხრით ისინი ძალებს აგროვებენ და ნამდვილ შეტევისათვის ემზადებიან.

ბავარიის მთავრობის რჩევა.

„ბირჟევია ვედომოსტის“ გადმოცემით „ახალი ციურიხის გაზეთს-“ მიუნხენიდან კორესპონდენტი აუწყებს, რომ ბავარიის მთავრობა სხვა გერმანულ სამთავროების მთავრობებთან შედარებით სცდილობს, რომ მეტი გავლენა მოახდინოს გერმანიის საერთო მთავრობაზე და ურჩევს მას, რომ პოლიტიკაშიაც და სტრატეგიაშიაც მეტი ზომიერება იხმაროს.

ცვლილება გერმანიისა და ავსტრიის ჯარში.

პეტროგრადის სამხედრო წრეებში ხმა გავრცელდა, რომ თითქო გერმანიისა და ავსტრიის ჯარების წინამძღოლი ხელმძღვანელთა დაცვლას ეპირებოდენ. ამბობენ, რომ მაკენზენს და ფონ-კვეესს გადააყენებენ: დასავლეთის ფრონტის ძალების მთავარ სარდლათ გენერალ ფონ-მილტკეს გაგზავნიან; ერც-ერცოგის ფრიდრიხის ადგილზე კიდევ ერც-ერცოგის კარლოსს დანიშნავენო.

სერბიის ჯარის გადმოყვანის საქმე

ბუქარესტიდან იუწყებიან, „ჟურნალ დე ბალკან“-ი ირწმუნება: საბერძნეთთან მოკავშირეების მოლაპარაკება სერბიის ჯარის საბერძნეთის ტერიტორიის გზით გადაყვანის შესახებ თითქმის დასრულდა. ფიქრობენ, რომ ამ მიზნისთვის მოკავშირეებს პატრასლარისას რკინის გზა მხოლოდ ერთი თვის ვადით დაუთმონ.

ოსმალეთის მთავრობის განცხადება.

„რუსკია ვედომოსტის“ ბუქარესტელი კორესპონდენტის გადმოცემით ოსმალეთის საელჩო გაზეთებში აცხადებენ, რომ ტყუილია ყველა ის ცნობები, რაც ფონ-ჰოლც-ფაშას სიკვდილის შესახებ და მაჰმადიანთა ვითომდა არეულობებზე ვრცელდებაო; აგრეთვე არაა მართალი, ვითომ ახალგაზდა ოსმალოთა პარტიაში დიდი უთანხმოება იყოს.

პირველი მაისის დღესასწაული რუმინიაში.

როგორც ბუქარესტიდან იუწყებიან პირველი მაისობა რუმინიაში შედარებით მწყობრათ ჩატარდა. „დაკიას“ დარბაზში სოციალისტების დიდებული მიტინგი გაიმართა, რომელსაც რამდენიმე ათასი მუშა დაესწრო. მიტინგმა რეზოლიუცია გამოიტანა ომის წინააღმდეგ და სიძვირესან ბრძოლის შესახებ.

სამხედრო მიმომხილველი ოგლინის აზრი.

„რუსკია ვედომოსტის“ ცნობილი სამხედრო მიმომხილველი, ოგლინი გერმანელების მომავალ შეტევის შესახებ რუსეთის „საზოგადოებას“ შემდეგი სიტყვებით აიმედებს: „შეიძლება ითქვას, რომ ზამთარში ჩამოვარდნილმა სიწყნარემ რუსეთს მეტი სარგებლობა მოუტანა, ვიდრე გერმანელთ, რომ რუსეთის ჯარები ამ ფრონტზე (ჩრდილოეთის ფრონტზე) უფრო მოლონიერდენ, გაძლიერდენ, ვიდრე გერმანელების, ამიტომო, დასკვნის ოგლინი, გერმანელების შეტევა ახლა უფრო ნაკლებათ გაიმარჯვებს, ვიდრე გასულ წელს.

მაგრამ ამ შეტევას, მიუხედავათ ამისა მაინც უნდა ველოდეთ, ვინაიდან გერმანელებს არ შეუძლიათ ერთსა და იმავე ადგილზე დიდხანს დაჰყონ და ამით ძალა გამოილიონ თავი მოიქანცონ. ისინი იძულებული არიან ნაკლები იმედითაც საქმეს შეუდგენ და შეტევა დაიწყონ, რომ ამით კერძოობითი გამარჯვებას მი-

359

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიო ომი.

(დღიური).

მდგომარეობა არსად არ შეცვლილა.

კავკასიისა და ოსმალეთის ფრონტზე შავი ზღვის პირათ რუსეთის ჯარმა ქ. პლატაციის სამხრეთ-დასავლეთით წინ წაიწია.

აშკალის რაიონში ოსმალთა რაზმს ტყვეთ ხელში ჩაუვარდა ქართველთა „დრუჟინა“, მაგრამ ქართველებმა ოსმალთა ტყვეობაში ყოფნას სიკვდილი არჩიეს და უნტეოფიცრის პატიშვილის მეთაურობით მტერს მოულოდნელათ თავს დაესხნენ: გაარღვიეს გარშემორტყმულ ოსმალთა წრე და სამშვიდობოზე გავიდნენ. ერზინჯანის მიმართულებით დაწყებული ოსმალთა შეტევა რუსეთის ჯარმა შეაჩერა. ბაღდადის მიმართულებით რუსეთის ჯარის მსვლელობაზე დღეს ცნობა არ მოსულა.

რუსეთისა და ავსტრია-გერმანიის ფრონტზე გერმანელები კვლავ საარტილერიო ბრძოლას აწარმოებდნენ იაკობშტადტთან და დვინსკის რაიონში. აგრეთვე ნაროჩის ტბის სამხრეთ-დასავლეთით; აქ იერიშიც სცადეს, მაგრამ რუსეთის არტილერიამ შეაჩერა.

ვერდენთან გერმანელებმა ახლა „287“ № სიმაღლეს დაუშინეს ზარბაზნები. ფრანგებმა თავის მხრით მორტომის დასავლეთით გერმანელების სანგრებზე მიიტანეს იერიში და რამდენიმე მათგანი უკანვე დაიბრუნეს. სჩანს, მორტომის ერთი ნაწილი გერმანელების ხელში ყოფილა.

დღეს „304“ № სიმაღლის შესახებ არაფერი ისმის: სჩანს იგი ახლა გერმანელების ხელშია გადასული.

ინც მიაღწიონ, რომ თავის მხარეში ხალხი გაამხნევონ და სულით აღადგინონ..... ერთი სიტყვით მთავარი მიზეზი იმისა, რომ გერმანელების შეტევას უფრო ჩრდილოეთის ფრონტზე—სახელდობრ ღვინაზე უნდა მოველოდეთ და არა სხვაგან, იმაში მდგომარეობს, რომ გერმანელები ამჟამათ მხოლოდ იმდენათ ძლიერნი არიან, რომ მარტო დვინის ფრონტზე შესძლებენ როგორც იქნება შეტევის დაწყებას და არა სადმე სხვაგან.

ქ. ქუთაისი, 30 აპრილი.

> ჩვენ ვთაკილობთ და
> არა გვჯერა, რომ ყველა გონიერი კაცი იგივ
> წიგნია.
>
> ი. ჭ.

დიაღ! ჩვენ ხშირად ვთაკილობთ ხოლმე გამოცდილ და გონიერ კაცების სიტყვას ჩვენ ხშირად არ გვინდა ხოლმე დავუჯეროთ ჭირნახულსა და ათას ვაი-ვაგლახში გამოვლილ გლეხს, რომელიც შემოგვღაღადებს:

— მომეცით მიწა და მე ვაცხოვრებ მთელს ქვეყანასაო.

ჩვენ მაღლიდან დაბლა დავყურებთ დღიურ მუშასაც, მისი სამართლიანი მოთხოვნილება, მისი გულის ტკივილი, მისი უბედური ყოფნა, მისი სადღესო საჭიროება გვავიწყდება და ამავე დროს ისეთ კოშკებს ვაშენებთ ცაში, რომ სადი გონებისა და ცხოვრების პრაქტიკულ მხარის მცოდნე ადამიანი მწარედ ჩაიცინებს და თავისთვის წაიბუტბუტებს:

— პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ დღეს, აი ჯერ რაზე უნდა ვზრუნავდეთო!

მართლადაც, იმაზე ადვილი დასანახავი რა არის, რომ, როგორც ყოველთვის დაჩაგრულია ღარიბი, ხელმოკლე ადამიანი, როგორც ასეთი ადამიანი ყოველგვარ სიამოვნებას მოკლებულია,—ვერსად ვერა ჩნდება, ვერსად ვერ მიდის და შიშველ-ტიტველი ოხვრით აღამებს დღეს და კვნესით ათენებს ღამეს, ისე ღარიბი, ქონებრივად დაცემული ერი ყველასაგან დაბრიყვებულია და ყველგან გამოკლებულია!

ვინ არიცის, რომ მდიდარი კაცი. ბუნებით სულელიც რომ იყოს იგი, მაინც ყველგან პატივცემულია, ყველგან დაწინაურებულია!

ყველა მას შესრტფის, მას შეჰხარის, ყველა ნატრობს მის ყოფნას და მდგომარეობას.

მართალია, იესო ნაზარეველმა სთქვა, რომ როგორც აქლემი ვერ გაძვრება ნემსის ყუნწში, ისე მდიდარი ვერ შევა სასუფეველშიო, მაგრამ, ვიდრე ადამიანი ამ „სასუფეველს“ მიაღწევდეს, მას ცხოვრება უნდა და თანამედროვე ცხოვრებაში კი უძლიერესი იარაღი არის ქონება, სიმდიდრე, როგორც კერძო კაცისათვის, ისე მთელის ერისათვის...

ჩვენც მთელის ჩვენის არსებით წინააღმდეგი ვართ, როცა სიმდიდრე ერთი კაცის ხელში იყრის თავს, როცა მხოლოდ ერთი ფუფუნებს და ასი ათასი კი სიულახაკეში ლაფავს სულს, ჩვენც ვიძახით, ჩვენც გვწამს, რომ სხვის ზურგზე გასუქებული, სხვისი შრომითა და ოფლით გამდიდრებული ესა თუ ის პიროვნება ჰკარგავს სახებას ღვთისას, ივიწყებს თვით ღმერთსაც და ჯოჯოხეთად ევლინება მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა, მაგრამ როცა ესევე სიმდიდრე საერთო, საძმო, საერო და საქვეყნოა, ესეიგი, როცა მთელი ქონებრივი ძალა ქვეყნისა ეკუთვნის ამავე ქვეყნის შვილებს, მაშინ თვით ერი ღონიერია და ისე ადვილად ვერავინ და სჩაგრავს, ვერავინ გადაელობება წინ და ქონებრივად ზურგ—მაგარი ერი იგი ყოველთვის პირნათლად შეასრულებს თავის ისტორიულსა და საკაცობრიო დანიშნულებას, თავის მისია.

საქართველოისა და ქართველი ხალხის დღევანდელი დაბეჩავება უფრო იმით აიხსნება, რომ ბუნებრივი სიმდიდრე ჩვენის ქვეყნისა სხვის ხელშია და ჩვენ, ქართველები კი, ვიკვებებით ამ სხვის ნასუფრალით.

მაშასადამე, ქვეყნის ყოველივე მოკეთის პირველი ზრუნვა უნდა იყოს, რომ თვით ხალხი, თვით ერი გახდეს თავისი ქვეყნის სიმდიდრის გამგე და პატრონი, უამისოდ ერიც დაიღუპება და ქვეყანაც გადაშენდება!..

საუბედუროდ ჩვენდა, საქართველოს ცხოვრება ისე მოეწყო, რომ ეკონომიური მხარე ჩვენის ერისა ძალზე დაეცა და ამ დაცემას ხელს უწყობდა ჩვენი და უდევრობაც, ჩვენი უმეცრებაც.

მაგრამ ახლა დრონი იცვალნენ: უბედურებამ თვალი აგვიხილა და რაც დღევანდლამდე დაგვიკარგავს, ის უეჭველად ისევ უნდა დავიბრუნოთ.

მართალია, ძნელი სათქმელია, რას მოგვიტანს ხვალინდელი დღე მსოფლიო ომის გადამკიდეთ, მაგრამ დღევანდელო დღე მაინც ისე უნდა დავაღამოთ, რომ ხვალინდელს მომზადებული შევხვდეთ.

დღეს კი ჰიათურაში უცხოელების ხელიდან განთავისუფლდა აუარებელი სიმდიდრე—სიმდიდრე ძველთაგანვე კუთვნილება ჩვენის ხალხისა, მაგრამ ჩვენის დაუდევრობით სხვაზე გაყიდულ-გაცემული —აი, ეს სიმდიდრე ისევ უნდა დავუბრუნოთ ჩვენ ხალხს რა გზითაც უნდა იყოს და რათაც უნდა დაგვიჯდეს.

ამ მარგანეციან მიწების განთავისუფლების გამო—(რომელი მიწებიც ჩამოერთვა გერმანელებს) ბევრი რამ დაიწერა ჩვენს გაზეთებში.

ზოგნი მოითხოვენ შესდგეს სააქციონერო საზოგადოება ქართველთაგან, ზოგნი სთხოვენ შავი ქვის საბჭოს ყოველი ღონე იღონოს და ეს მამულები უკანვე დაიბრუნოს, ზოგნი შესთხოვენ ქართულ ბანკებს—შეისყიდონ ეს მამული და კვლავ უცხოებს არ ჩაუგდონ ხელში.

ჩვენ გვინდა დავასახელოთ ერთი წყარო ამ მამულების გამოსასყიდათ.

როგორც ყველას მოეხსენება, 1912 წლის კანონით მთავრობამ უნდა შეისყიდოს გლეხების „ნადელები“. ამ ნადელებში ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობას ერგება ორი მილიონი თავისის პროცენტებით (გვგონია 4%).

სწორედ საშვილიშვილო საქმეს გააკეთებს ჩვენი თავადაზნაურობა, თუ ამ ფულში მთავრობას გამოართმევს ჰიათურის მამულებს და მერე ამ მამულებს გახდის საერო კუთვნილებათ.

ეს წყარო მით უფრო ხელსაყრელია რომ, ვიდრე ჩვენში რაიმე საზოგადოება შესდგებოდეს, ვაი თუ მამულები კიდეც გაეყიდოს.

თავად-აზნაურობის ფული კი მზათ დევს ხაზინაში და, ასე ვსთქვათ, ერთგვარი გაცვლა-ღა უნდა მოხდეს.

თუ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთადმი მისაცემი ფული არ ეყოფა ჰიათურის მამულების გამოსყიდვას, მან უნდა მიეშველოს თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობაც და არას გზით აღარ გაუშვან ხელიდან ეს ჩვენის უთაურობითა და უბეიროობით ერთხელ დაკარგული საერო და სახალხო სიმდიდრე.

ნარკვევი.

საერობო თათბირის [illegible] ბის შესახებ „კავკ. სლოვო“-ში მოთავსებულ წერილზე „სახალხო ფურცელი“ შენიშნავს:

„კავკაზ. სლოვო“ მ საერობო თათბარის გამო რაღაც უცნაური ალი, ჩვენ არასოდეს თათბირი ხალხ ველა სურვილის გამომხატველად მიგვაჩნდა. ძალიან, თვით თათბირის წევრთა შორისაც კი ბევრ იყოს ისეთი, რომელიც თავისი თა ხალხის წარმომადგენლად მიაჩნდეს. მგრამ „კავკაზსკოე სლოვო“-ს რაღა ჩვენთვის სრულიად წარმოუდგენელი მ ზეზის გამო სწორედ მიაჩნია ამ მად მტკიცება და ისიც ირონიულის კ ლოთი, თათბირის წევრნი ისე იქცე ვიან თითქოს კანონმდებელნი იყვნენ არა ნაკლებ გასაოცარია იმავე გაზეთი მიერ გამოთქმული მოსაზრებანი უმრავ ლესობისა და უმცირესობის შესახებ ვგ და ძალიან კარგად მოეხსენება, რო ყოველ კრებაზე, რანაირი შემადგენლო ბისაც არ უნდა იყოს იგი, უმრავლესო ბაც არის ხოლმე და უმცირესობაც. რაც დასჭირდა „კავკაზსკოე სლოვო“-ს მტკი ცება იმისა, რაც ყველასათვის ცხადია ვერ გავიგეთ. ვერ გავიგეთ ისიც, თ რად დასჭირდა „კავკაზსკოე სლოვო“- მტკიცება, თუ უმრავლესობა ერთს აზრ მიემხრო, უმცირესობა კი—მეორეს ქ კიდევ იმას არა ნიშნავს, რომ უმრავლე სობის უკან, მცხოვრებთა უმრავლესობ სდგას, უმცირესობის უკან კი უმცირე სობაო.

პირდაპირ გასაოცარი და უცნაური ასეთი უეცარი ცვლილება „კავკაზსკო სლოვო“-სი. გუშინ იგი მარტინოვ აქებ ადიდებდა, როგორც მშვენიერ ად მინისტრატორს და დღეს კი საერობ თათბირის უმრავლესობის აზრსაც ად რაფრად აგდებს და მერე რა მოსაზრ ბით? იმ მოსაზრებით, რომ თათბირ წევრნი „ხალხის წარმომადგენლები ა რიანო“.

არც ჩვენ მიგვაჩნია თათბირის წე რნი ხალხის წარმომადგენლებად, თა ბირი ოდნავადაც ვერ გამოხატავს იმას რაც ხალხისთვის არის საჭირო, მაგრ ეს უნდა ითქვას ერთნაირად, როგორ უმრავლესობაზე, ისე უმცირესობაზე ორივე კატეგორია მონაწილეთა ერთ არის წესით არის შექმნილი და ორივ ვეს საზოგადოებრივი ღირებულება ერ ნაირია.

რას გვეუბნება ისტორია?

წერილი მეორე.

(პოლიტიკური ბრძოლა საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს).

საერო საკანონმდებლო კრება შეიკრიბა 1 ოკტომბერს 1791 წლისა.

თუ რასმე შეეძლოი შეაერთოს და შეაკავშიროს ერის სხვადასხვა ნაწილი, მეტადრე ომისაგან გამოწვეულ განსაცდელს.

საფრანგეთის რევოლუციის დასამხობად და ლუი მეთექვსმეტის დასაცავად თავი გამოიდო ავსტრიამ, რომელსაც საფრანგეთმა 20 აპრილს 1792 წ. ომი გამოუცხადა. ავსტრიას მიემხრო პრუსია. პირველი შეტაკების დროს ფრანგები დამარცხდნენ.

19 ივნისს 1692 წ. ხალხმა გაიგო, რომ მეფეს ჩუმად მტერთან მოლაპარაკება ჰქონოდა. სენ-ანტუანისა და სენ-მარსის უბნები შეიარაღდნენ, შეიჭრნენ საკანონმდებლო კრების დარბაზში, მოითხოვეს, მეფე კანონს დაემორჩილოსო, ინახულეს პირადად მეფე, მოსთხოვეს დაუფიცებელი მღვდლების საფრანგეთიდან გაძევება და სხვა.

2 ივლისს 1792 წ ხმა დავარდა, ჯარი უკან იხევსო და ამავე დღეს საკანონმდებლო კრებამ გადასწყვიტა შემოეშვა პროვინციებიდან პარიზში ფედერატები, ვ. ი მილიციონერები. საკუთარი ტაძრეული ჯარი, ანუ მცველები, მეფეს ამ დროს უკვე აღარა ჰყავდა. იმავე დროს საკანონმდებლო კრებამ გამოაცხადა, მამული განსაცდელშიაო, და დაადგინა, სადეპარტამენტო და მუნიციპალური საბჭოების კრებები არ შეწყვეტილიყვნენ, 1 აგვისტოს კი დაადგინა, მუნიციპალიტეტებს შუბები დაერიგებინათ მოქალაქეთათვის.

მაგრამ მოძრაობა მეფის წინააღმდეგ უფრო ადრე დაიწყო. ჯერ კიდევ 27 ივნისს 1792 წ. მარსელის მუნიციპალიტეტმა (საქალაქო თვით მართველობამ) გამოსცა პროკლამაცია, 1—2 ივლისს პარიზში მარსელის მილიციონერები (ფედერატები) უნდა გაიგზავნონო. მარსელის რაზმი შევიდა პარიზში 20 ივლისს მარსელეზის სიმღერით (რომელიც რუჟე-დე-ლის-მა რეინის ჯარისათვის შეთხზა)

სხვა პროვინციებიდან კიდევ უფრო ადრე მოვიდნენ ფედერატები. 18 ივლისს 1792 წელს პარიზში უკვე 2,960 ფედერატი იყო.

იმავე დროს ყოველი კუთხიდან მოდიოდნენ პეტიციები (მოთხოვნები) მეფის გადაყენების შესახებ.

23 ივლისს 1792 წ ფედერატებმა მიართვეს საკანონმდებლო კრებას პეტიცია, რომელიც მოითხოვდა მეფის გადაყენებას. 3 აგვისტოს მოითხოვეს იგივე უფრო ენერგიული ფორმით. საკანონმდებლო კრებამ მათი პეტიციები ყურადღებლად დასტოვა

შემდეგ სექციებმა და ფედერატებმა საერთო აჯანყების ორგანიზაცია მოაწყვეს.

უკვე 5 ივლისიდან პარიზის ყველა სექციამ თავისი სხდომები შეუწყვეტლად გამოაცხადა. პარიზში სულ 48 სექცია იყო. 47-მა სექციამ აირჩია კომისარები, რომელნიც 26, 27, 28 ივლისსა და 1, 2, 3 აგვისტ. მართავდნენ სხდომებს კოლოდერბუას თავმჯდომარეობით.

აგვისტოს 1792 წ. პარიზის მერმა პეტიონმა წარუდგინა საკანონმდებლო კრებას ხსენებულ სხდომებზე შემუშავებული ადრესი, რომელიც ბრალსა სდებდა სადეპარტამენტო (საოლქო) კრებათ, ლუი მეთექვსმეტეს ემხრობიანო, და მოითხოვდნენ საერო კონვენტის მოწვევას, რომელსაც ახალი კონსტიტუცია უნდა დაეწესებია

აქ უკვე შინაურმა განხეთქილებამ იჩინა თავი. საოლქო, ან სადეპარტამენტო, თვითმართველობათ უნდოდათ, დეპარტამენტები, ან ოლქები, რაც შეიძლება, უფრო დამოუკიდებელნი ყოფილიყვნენ ცენტრალური მთავრობისაგან, მუნიციპალიტეტებს კი სურდათ, რომ ცენტრს, ე. ი პარიზში მყოფ საკანონმდებლოსა და აღმასრულებელ დაწესებულებათ, რაც შეიძლება, მეტი უფლება ჰქონოდა ვინც სადეპარტამენტო მოძრაობას აღიარებდა, მათ „ფედერალისტებს“ უწოდებდნენ სადეპარტამენტო კრებანი აღიარებდნენ ფედერალიზმსა,“ საქალაქო თვითმართველობანი, ან მუნიციპალიტეტები, კი—ცენტრალისტები იყვნენ. ამისდა მიხედვით თითქმის მთელი საზოგადოება ორ დიდ პოლიტიკურ პარტიად გაიყო იაკობელნი იყვნენ ცენტრალისტები, ე ი. საქალაქო თვითმართველობათა, ანუ მუნიციპალიტეტების, ცენტრალურ საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოთა უფლების გაძლიერების მომხრენი. მათი მოპირდაპირენი, ეგრეთ-წოდებული ჟირონდისტები, კი შედარებით დეპარტამენტების უფლებათ იცავდნენ და მაშასადამე ფედერალიზმის პრინციპს აღიარებდნენ.

ეს შინაგანი ბრძოლა ახასიათებს რევოლუციის მეორე ხანას და ამ ნიადაგზე აღმოცენებულმა შინაურმა განხეთქილებამ მოუღო ბოლო ჯერ მებრძოლ პარტიებსა და შემდეგ თვით რევოლუციის მიერ შექმნილ წესწყობილებას. ამ მოძრაობამ შეაშინა საკანონმდებლო კრება, რომელმაც აიძულა მეფე მოეწვია იაკობელთაგან შემდგარი სამინისტრო. სექციების წარმომადგენელთ 4, 6, 8 აგვისტ. კვლავ წარუდგინეს კრებას პეტიციები მეფის გადაყენების შესახებ. კრებამ პატივისცემით მიიღო პეტიციონერები, მაგრამ მეფე მაინც არ გადააყენა. 9 აგვისტოს სექციებმა უკანასკნელი ვადა მისცეს კრებას.

მოძრაობას ხელი შეუწყო სხვათა შორის იმანაც, რომ ბრაუნშვეიგის ჰერცოგმა ფრანგთა წინააღმდეგი პროკლამაცია გამოსცა

ღამით 9 აგვისტოს 1792 წ. პარიზის 28 სექციის მიერ (სულ იყო 48 სექცია) არჩეული კომისარები შეიკრიბნენ ქალაქის თვითმართველობის შენობაში, (მათ შორის რესპუბლიკელი რობერი), დაითხოვეს ძველი საბჭო, შემოიერთეს ძველი საბჭოს ადმინისტრაციის 16 წევრი და ძველი ქალაქის თავი (მერი), პეტიონი, და პროკურორი თავის ადგილებზედვე დასტოვეს.

ამ რევოლუციონურმა კომუნამ მოაწესრიგა 10 აგვისტოს აჯანყების საქმე.

10 აგვისტოს აჯანყება იყო ს ერთო, ეროვნული აჯანყება, რა გან მასში მონაწილეობა მიიღეს, რო გორც პარიზის ხალხმა, აგრეთ პროვინციებიდან ჩამოსულმა ფედ რალისტებმა. რევოლუციონერე დაეცნენ მეფის სასახლეს. მეფემ გაა წრო და საკანონმდებლო კრებ შეაფარა თავი (745 დეპუტატში სუ 284 შეიკრიბა), მაგრამ, როდესა მეფის სასახლის აღების ამბავი მოვ და, საკანონმდებლო კრებამ გად აყენა მეფე და დაადგინა საერო კრ ბის მოწვევა საყოველთაო საარჩევ უფლების საფუძველზე.

დეპუტატების ამრჩეველთა არჩე ნები (პირველყოფილი არჩევნები) აგვისტოს უნდა მომხდარიყო, დეპ ტატების არჩევნები კი 2 სექტემბრ დან.

როდესაც რევოლუციამ გაიმარჯ საკანონმდებლო კრებამ აღიარა ხსე ბული რევოლუციონური კომისარე მუნიციპალიტეტად, ე. ი. საქალა თვითმართველობად, და 11 აგვისტ დაუნიშნა მათ 850 ლივრი თვი რად. მუნიციპალური საბჭო შეივ ახალი არჩევნებითა და მისი წევრ ბის რიცხვი 288-მდის ავიდა, ამ ს ჭომ უწოდა თავს კომუნის (ქალა თვითმართველობის) გენერალუ (საკრებულო) საბჭო.

რობესპიერი, ბილიო ვარენ ფაბრ დ'ეგლანტინი, შომეტი პაში, რომელნიც საფრანგეთის ვოლუციის დიდ მოქმედ პიროვ ბათ წარმოადგენენ, მუნიციპალიტ გამარჯვების შემდეგ მიემატენ.

ფაქტიურად ძალა და უფლება

„კავკასკოე სლოვო" ვერ ჰბედავს ამ პრინციპიალურ სიმაღლემდე ავიდეს და კაზუისტურის საშუალებით ცდილობს ისეთი შთაბეჭდილება შექმნას, თითქოს უმრავლესობა რაღაც სხვა ხალხია და უმცირესობა კი სულ სხვა. საინტერესოა ვიცოდეთ, რანაირ კილოზე დასწერდა „კავკაზსკოე სლოვო", სასწაულად, რომ მოჰხდეს და მისკენ ათვალისწინებული უმრავლესობა, უმცირესობად იქცეს? დაბეჯითებით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ კილო უეჭველ შემთხვევაში სულ სხვანაირი იქნებოდა და გაზეთის დითირამბებსაც საზღვარი არ ექნებოდა...

ჩვენ სავსებით ვეთანხმებით „სახ. ფურცლის" გულის წყრომას „კავკ. სლოვ"-ს მიმართ, მაგრამ გვაკვირვებს მხოლოდ ის, რომ ამას ამბობს „სოციალისტური" გაზეთი.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

გაზ. „საქ." საკუთ. კორესპონდენტი ბათომიდან აცნობებს: ხულოში დააპატიმრეს მასწავლებელი აპ. წულაძე და აგრონომი დიმ. ნაკაშიძე. ისინი ბათომის ციხეში მოათავსეს.

◆ მევენახეობისა და მეღვინეობის კომიტეტმა გადასწყვიტა ვენახის საწამლეველი მასალის შეძენის საქმე ვაჭართა ხელიდან გადაეცეს მიწადმოქმედების სამინისტროს ადგილობრივ კოოპერატივებისა და წვრილი კრედიტის დაწესებულებათა და მევენახეობისა და მეღვინობის კომიტეტების დახმარებით. ამ კითხვის წინდაწინვე განხილვა და შესწავლა მიენდო კომისიას, რომელშიაც არჩეულნი არიან: ს. ა. ქვარიანი, ა. მ. ვასილევსკი, ი. გ. ქუთათელაძე, პ. ი. ყიფიანი და კ. მ. ბერეკაშვილი

◆ 27 აპრილის სხდომაზე მევენახეობისა და მეღვინობის კომიტეტმა შეიმუშავა 1917 წლის ხარჯთაღრიცხვა. და გაგზავნა მიწადმოქმედების დეპარტამენტში დასამტკიცებლად, სხვათაშორის, კომიტეტის განზრახვით, უნდა დაარსდეს განსაკუთრებული თანამდებობა უფროსის აგენტისა ღვინის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ არსებული ორგანიზაციისათვის.

◆ „სინათლის" საზოგადოების სასარგებლოდ 6 იანვარს 1916 წ. გამართულ სალამოს ანგარიშის და ბეჭდის შემდეგ მიღებულია შემოწირულება ხუთ-ხუთი მან. ბესარიონ მხეიძესა და თ. ალ. დ. წერეთლისაგან, რომელთაც სალამოს გამმართველი ქალთა კომიტეტი მადლობას უძღვნის.

◆ თბილისის ფოსტა ტელეგრაფის ოლქის უფროსის განკარგულების თანახმათ, ყველა მისალოცი ან სხვა წერილები ფას გადახდილი დანიშნულებისამებრ, არ გაიგზავნება, რადგანაც, თანახმათ შინაგან მინისტრის განკარგულების, ეს გარემოება, ომის გამო, ხელს უშლის როგორც მთავრობის, ისე კერძო დაწესებულების საქმის ქაღალდების დროზე გადაგზავნას.

◆ დომენტი შარაშიძემ შუამდგომლობა აღძრა ქუთ. გუბერნატორის წინაშე, რომ ნება დართოს მას გამოსცეს მისივე რედაქტორობით გაზეთ. „მეგობრის" ნაცვლათ ყოველკვირეული გაზეთი „ცისფერი ყანწები".

◆ ქუთ ქართული გიმნაზიის მე-6 კლასში ზეპირი გამოცდები 4 მაისს დაიწყება.

◆ ქალაქის აფთიაქის ფარმაცევტები შუამდგომლობენ გამგეობის წინაშე მიემატოს მათ ჯამაგირზე რამდენიმე პროცენტი.

◆ გუშინ ქალაქში პური სრულიად არ იშოვებოდა. ქალაქის მცხოვრებნი დიდ გაჭირვებას განიცდიან. მოელიან 60 ვაგ. ფქვილს.

◆ ქ. შ. წ. კ. გ. საზ. ქუთაისის განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა ქუთაისის გუბერნატორის წინაშე, რომ ნება დართოს გახსნან უფასო წიგნ-საცავ სამკითხველო ს. დილიკაურში (შორ. მაზ.) ამავე სოფლის მცხოვრების ილარიონ სალაძის პასუხის მგებლობით და ს. ფარცხანაყანევში (ქუთ. მაზ.) დეკ. გიორგი ფხაკაძის პასუხის მგებლობით.

◆ დღეს, ადგილობრივ საკრებულო დარბაზში გაიმართება ბალი-კონცერტი. როინიშვილისა და კირაკოზიანის მონაწილეობით.

◆ საგუბერნიო სამოქალაქო საქმეთა საკრებულომ უყურადღებოთ დასტოვა ორპირის ქუჩის მცხოვრებთა საჩივარი ქალაქის საბჭოს დადგენილებაზე, რომ დარჩენილიყო ხონის მეეტლეთა ბირჟა ისევ ხონის გადასახვევში.

◆ 115 სათადარიგო ჯარის კაცთა ბატალიონის უფროსი სთხოვს ქალ. გამგეობას, რომ გაუგზავნონ სხვადასხვა სანოვაგეზე ამ ჟამად არსებული ნიხრი.

◆ ქუთაისის გუბერნატორმა წინადადება მისცა სოხუმის ქალაქის თვითმართველობას რომ წარმოედგინათ 1909—1913 წლების ხარჯთაღრიცხვა. ამის შესახებ სოხუმის ქალაქის თვითმართველობა სთხოვს გუბერნატორს ახალი გამგეობის შემადგენლობა გაანთავისუფლოს ამ საქმისაგან, რადგანიც ა ჟამად დიდი საჩქარო საქმეები არის მოსაწესრიგებელი.

◆ ქუთაისის ქალაქის გამგეობამ გუბერნატორს წარუდგინა დასამტკიცებლათ 31 მარტის საბჭოს კრების ოქმი.

◆ თანახმად ქუთ. გუბერნატორის თხოვნისა, ფოთის ქალაქის გამგეობამ შეატყობინა, რომ ქალაქს სესხი საზღვარგარეთ არ აუღია. ის ამ ჟამათ მხოლოდ რუსეთის სამრეწველო ბანკიდან ღებულობს სესხს, რომელსაც წესიერათ იხდის ქალაქი.

— **შუამდგომლობა** ს. ზუბშედის (რაჭის მაზრა) მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს ქუთ. გუბერნატორის წინაშე რომ ნება დართოს გახსნან „ზუბშედის სასოფლო სამეურნეო ამხანაგობა".

— **დააჯარიმა** ქუთაისის ვიცე გუბერნატორმა იარაღის ხმა დაურთველად ტარებისათვის 10 მან. ან სამი დღის დატუსაღებით ს. კიცხის (ზუგ. მაზ). მცხოვრები აკაკი თურქია.

◆ ბაზრის ზედამხედველმა გელოვანმა ოქმი შეუდგინა საშენის ნახრის ზევით გაყიდვისათვის მეთევზების უბანში მოვაჭრე თავდადიშვილს.

— **ბოქაულის გადაყვან-გადმოყვანა.** სვანეთის ბოქაულად დანიშნა თ. დ. მურზაყან (იყვე მახეიდ) და დეშქელიანი. მის თანაშემწეთ დიმიტრი ჩარკვიანი ძველი სენაკის ბოქაულად მარტვილის რაიონის ბოქაულად ნამყოფი სარდიონ მაღლაკელიძე ხოლო მის ადგილზე რედუტკალეს (ზუგ. მაზრა) ამხ. ბოქაული რედუტკალეში კი ჩოხატაურის ბოქაული ილია ცხადაძე. ჩოხატაურში კი დაინიშნა ინმუკ მელსაგოვი.

წერილი ზემო ქართლიდან.

სამწუხარო მდგომარეობაშია დღეს ჩვენი სოფლები: მუშა ხელი მოისპო, ოჯახის ბურჯი და მოჭარბებული ბრძოლის ველზე სოფლებში მოხუცებულებისა და ავადმყოფ-დავარდნილების მეტს მამაკაცს ვერ შეხვდებით.. ომის საჭიროებისათვის გლეხს, უკანასკნელი იმედიც, თავისი მარჩენელი საქონელიც კი ხელიდან გამოაცალეს. ზედი-ზედ მოუსავლობის გამო, სიმშილობამ ქრონიკული ხასიათი მიიღო. ზღაპრულ სიძვირეს და ჩარჩების თავგასულობას ხომ საზღვარი არა უდევს. გადასახადები დღითი-დღე ემატება სოფელს; შემოსავლის წყარო კი არსაიდან ჩანს. ამას ზედ დაუმატეთ ხალხის ტრადიციული ჩვეულებით გამოწვეული ხარჯები და თქვენს წინ გადაიშლება სამწუხარო, უნუგეშო სურათი, რომელსაც გადაფარებული აქვს შავი, სამგლოვიარო ძაძა ამ საერთო უბედურებას არც ქართლის დაბა-სოფლები ჩამორჩენია. მიუხედავად ამისა თითქმის ქართლის ყველა დაბა-სოფელში ცრუმორწმუნეობაა გავრცელებული.

აქაურ სოფლებს მხსნელად სოფლის ექიმბაშ-მკითხავები მოევლინენ.

მაგალითად, ს. ტეხურში, „გამოჩენილი" მკითხავი ჭანდაშვილია; ს. ჭალაში ახალგაზრდა ქალიშვილია, (გვარი არ მახსოვს); ს. საყანოს უბანში ე. გდი სამშვილი მათ შორის უპირატესობა უკანასკნელს ეკუთვნის. გასაკვირველი ის არის, რომ მკითხავთან უსწავლელი გლეხის გარდა განათლებული ინტელიგენტებიც დაიარებიან. ვერა ნახავ ისეთ დღეს რომ მისი ეზო ხალხით არ იყოს სავსე. მე გაკვირებაში მოვედი, როდესაც გაუნათლებელი გლეხთა შორის ოთხიოდე განათლებული პირიც დავინახე. თუ კი სოფლის მოწინავე ელემენტები ამას სჩადიან, მაშ რაღას უნდა მოველოდეთ უსწავლელ გლეხისაგან. ქ-ნ ელისაშვილის მახინაციებს ხალხი გაკვირვებაში მოჰყავს. ის უმთავრესად წყლით და სანთლით კითხაობს ეს „პატივცემული" პირი „გასამრჯელოს" აბაზს ღებულობს. მე ჩემი თვალით მინახავს, როდესაც საწყალი გლეხი ხვეწნით და მუდარით ეუბნება მკითხავს: „ოღონდ კარგათ მიკითხავე, გამიგე ჩემი შვილი ცოცხალი დამიბრუნდება ომიდან თუ არა და აბაზს კი არა მანეთს მოგართმევთ". გარდა მკითხაობისა ელისაშვილი ექიმბაშობის როლსაც ასრულებს. ამზადებს „შეშინებულისა, და [illegible] წამლებს და სხ.

აი, რას [illegible] შემზადებულ წამალ[illegible] ვედი თითო. ბოთლს ეს ფასი [illegible] დან არის დაწესებული. ზედმეტ ფასში არ შემიძლია გაყიდოთ ვინც ჩემ მიერ შემზადებულ წამალს წაიღებს და დალევს, მას უსათუოდ მოარჩენსო" და სხვა. წარმოიდგინეთ ეს ქადაგობანი სანთლებსაც ჰყიდის თავის სახლში, რომელსაც ორმაგ და სამმაგ ფასებს ადებს. ასე ულმობელად ატყუებენ ხალხს სოფლის „მხსნელი" ექიმბაშ-მკითხავები ექსპლოატაციაც ასეთი უნდა!

საჭიროა, ვისაც სოფლის ჭირ ვარამზე შესტკივა გული, დროზე მიაქციოს ყურადღება ასეთ არანორმალურ მოვლენას, თორემ გვიან იქნება ბოლოს თითზე კბენანი! ვ. მანელი.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

27 აპრილი.

საფრანგეთის ასპარეზი

პარიზი. მდინარე მაასის მარცხენა ნაპირზე მძაფრი საარტილერიო ბრძოლის შემდეგ გერმანელებმა ჩვენი მაღლობის სიმაგრე—„287"-ზე იერიში მიიტანეს, იერიში ადვილად მოვიგერიეთ. ჩვენ ხელთ დაგვრჩა რამდენიმე ტყვე გერმანელი ჩვენმა პატარა რაზმმა მორტომის ხაზზე გერმანელების თხრილები დაიკავა და ტყვეები წამოიყვანა და კიდევ ორი ტყვიის მფრქვეველი იგდო ხელთ. სხვა ადგილებში დღემ შედარებით წყნარად ჩაიარა.

ბელგიის ასპარეზი.

ჰავრი. რამსკაპელის დიქსმიუდეს სეეტერვეტრეტის რაიონებში ჩვეულებრივი საარტილერიო ბრძოლა ხდებოდა, დანარჩენ ადგილებში მდგომარეობა არ შეცვლილა.

ლონდონი. პალატში ცნობა მოვიდა, რომ ირლანდიის ვიცემთავარს ლორდ უიმბორნს სამსახურისთვის თავი დაუნებებია.

სტოკჰოლმი. ბულგარეთის მიერ დაპყრობილ მაკედონიაში მოლაპარაკება გამართული. მცხოვრებთა ქრისტიანების ნაწილი ბულგარეთთან კავ-

---

ცხელეს და, როგორც დეპუტატებს, აგრეთვე მოსამართლეებს, მოხელეებსა და კომუნისა და სადეპარტამენტო თვითმართველობის წევრებს ერთი დაიგივე საარჩევნო კრებები ირჩევდენ

მაშასადამე 10 აგვისტოს რევოლჲუციამ საფრანგეთში დემოკრატიული წესწყობილება დაამყარა და მთელმა საფრანგეთმა აღიარა ეს რევოლჲუცია.

კონვენტის წევრთა არჩევნები პროვინციებში უმეტეს ნაწილად თავისუფლად მოხდა: მთავრობა ძალას არავის ატანდა არჩევნების მანდატები, დაბარებანი, საზოგადოდ არაფერს ამბობდენ რესპუბლიკის შესახებ. მხოლოდ პარიზის საარჩევნო კრება მოითხოვდა პირდაპირ რესპუბლიკის დაწესებას. მეორე მხრით ეს მანდატები მოწმობენ, რომ ამრჩევლები ემხრობოდენ მუნიციპალურს, კომუნურ, მოძრაობას, ე. ი. ქალაქთა უფლების გაძლიერებასა და ცენტრალიზმსა და გმობდენ იმავე დროს სადეპარტამენტო თვითმართველობათა უფლების გაძლიერებასა და მონარქიას.

უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე საერთაშორისო ძმობისა და ერთობის იდეის ჩანასახი, რომელიც ამ დროს დაიბადა. უკვე 1791 წლის ბოლოს დაიბადა იდეა. რომ საფრანგეთს სხვა ქვეყნებშიაც გაევრცელებინა თავისუფლების პრინციპები, აეჯანყებია ხალხნი დესპოტთა წინააღმდეგ და, თუ სიტყვა ვერ გასჭრიდა, იარაღით დახმარებოდენ დამონებულთ. პარიზის რევოლჲუციო

ბილჲო ვარენნმა 2 სექტ. სალამოს პარიზის კომუნის სხდომაზე).

როგორცა ვთქვით, 10 აგვისტ 1792 წ. რევოლჲუციამ ძირიანად შესცვალა წინეთ არსებული საარჩევნო წესი.

დამფუძნებელმა კრებამ 22 დეკემბრის 1789 წლის დეკრეტით ფრანგები აქტიურ და პასსიურ მოქალაქეებად გაჰყო. საარჩევნო უფლება მხოლოდ იმ მოქალაქესა ჰქონდა, 1) ვინ იყო 25 წლისა, 2) ცხოვრობდა რომელსამე კანტონში არა ნაკლებ ერთი წლისა, 3) იხდიდა წელიწადში პირდაპირ გადასახადს, რომელიც მუშის სამი დღის ქირას უდრიდა. და 4) შინაურ მოსამსახურედ არ იყო. როგორც 1791 წ 28 მაისის დეკრეტის ციფრებიდან ჩანს, ამ დროს საფრანგეთის 26 მილიონ მცხოვრებთა შორის 4. 298,60 აქტიური მოქალაქე ყოფილა

10 აგვისტოს 1792 წლის რევოლჲუციამ კი ამ ბურჟუაზიული საარჩევნო წესის მაგიერ დემოკრატიული საარჩევნო პრინციპი აღიარა.

დემოკრატები, ე. ი. იაკობელნი და კორდელჲერები, არ იყვნენ კმაყოფილი, საკანონმდებლო კრებამ რომ ორ საფეხურიანი დააწესა და შინაურ მოსამსახურეებს საარჩევნო უფლება წაართვა. მათ—პირდაპირი და აბსოლჲუტური საყოველთაო საარჩევნო უფლების განხორციელება სწადდათ.

მაგრამ 10 აგვისტოს დეკრეტმა (დადგენილებამ) პოლიტიკური არჩევნებისათვის, სხვა დეკრეტმა კი სხვა არჩევნებისათვის თითქმის საყოველთაო საარჩევნო უფლება განახორ-

რომელსაც მრავალი ამგვარი სასჯელი მოჰყვა თან. ხელზე დაიხვიეს პატარა მოსაზღვრე ციხის დაკარგვა და მოახდინეს (პარიზში) საყოველთაო ჩხრეკა, რომ შეთქმულობა აღმოეჩინათ. და, თუმცა თითქმის ვერავის უპოვეს იარაღი, მაგრამ მაინც 3,000 „საეჭვო" მოქალაქე ჩასვეს ნაობახებში.

რადგანაც მტერი ვერდენს უახლოვდებოდა, მამული „განსაცდელ ქვეშ" გამოაცხადეს. 2 სექტემბერს ზარების რეკვა შეიქნა, შეშინებული მოქალაქენი მარსის მოედანზე შეიკრიბენ ამ დროს შეიარაღებული ბრბო დანაწილდა, წავიდ წამოვიდა, შეეჭრა ნაობახებსა და გაულიტა დაპატიმრებული „საეჭვო" მოქალაქენი. ეს მკვლელობანი ოთხ დღეს გაგრძელდა (1400 კაცი იქმნა მოკლული) უნდა აღვნიშნოთ, რომ, თუმცა შემდეგ დანტონს დააბრალეს ეს ჯერ არ გაგონილი ბოროტმოქმედება, მაგრამ აღმასრულებელი საბჭო (სამინისტრო), რომელსაც დანტონი მეთაურობდა, პირიქით ხელს უშლიდა მკვლელთ და, თუ ვერაფერს გახდა, მიტომ, რომ მუნიციპალიტეტი ელობებოდა წინ. პროვინციებში კი არა ყოფილა ამგვარი მკვლელობანი.

უეჭველია, რომ სექტემბრის მკვლელობათ იაკობელებმა მოუმზადეს ნიადაგი. მათ ხელზე დაიხვიეს ბრაუნშვეიგის ჰერცოგის მანიფესტი და ცილი დასწამეს ჟირონდისტებს, შეთქმული არიან, ხსენებული ჰერცოგი უნდათ დასვან საფრანგეთის ტახტზე (მაგალითად, რობესპჲერმა და

ციის შემდეგ დანტონი საკანონმდებლო კრებამ პირველ მინისტრად აირჩია 222 ხმის უმეტესობით). სულ უნდა არჩეულიყო 6 მინისტრი. მანამდის კი ვიდრე ყველა არ იყო ჯერ არჩეული, პირველ მინისტრს უნდა მოეწერა ხელი ჯერ არ არჩეული მინისტრების მაგიერად. ამ სამინისტრომ, რომელსაც აღმასრულებელი საბჭო ეწოდებოდა, დაიწყო მოქმედება 13 აგვისტოდან 1792 წლისა; უკანასკნელი მისი სხდომა იყო 19 აპრილს 1794 წ. როდესაც მისი ადგილი 12-მა აღმასრულებელმა კომისიამ დაიჭირა

და, თუმცა 15 აგვისტოს დადგენილებით თვითეული მინისტრი რიგით, ე ი თვითო კვირის განმავლობაში, უნდა ყოფილიყო თავჯდომარედ, მაგრამ ფაქტიურად ყველაზე მეტი გავლენა დანტონსა ჰქონდა. დანტონის არჩევა კი—10 აგვისტოს რევოლჲუციონერების გამარჯვებას მოასწავებდა.

11 აგვისტ, 1792 წ. მუნიციპალიტეტებმა მოიპოვა საპოლიციო და სამოსამართლო უფლება. ქალაქის საბჭოს 15 წევრმა შეადგინა ზედამხედველი კომიტეტი, რომელსაც მოქალაქე სისხლის სამართალში შეეძლო მიეცა. 17 აგვისტოს ქალაქის საბჭომ საკანონმდებლო კრებას რევოლჲუციონური ტრიბუნალი (სასამართლო) დააწესებინა, რომლის წევრებიც სექციების მიერ იყვნენ არჩეული. ამ სასამართლოს დადგენილებათა განსაჩივრება არ შეიძლებოდა. დაიწყო ჯაშუშობა, ჩხრეკა, დაპატიმრება. ნაობახები „საეჭვო" პირებით აივსო. 21 აგვისტ. 1792 წ. მოხდა პირველი სიკვდილით დასჯა,

რევოლჲუციონური კომუნის ხელში გადავიდა. და კომუნა ხშირად ებრძოდა საკანონმდებლო კრებასა და ხელს უშლიდა ევრეთწოდებულ აღმასრულებელ საბჭოს (მაგალითად, სექტემბრის მკვლელობათა დროს), რომელმაც სამინისტროს ადგილი დაიჭირა,

ლაფაიჲეტი გაიქცა საზღვარგარეთ და ტყვედ ჩაუვარდა ავსტრიელებს, რომელთაც ის ციხეში ჰყავდათ დამწყვდეული 1797 წლამდის.

მონარქიულ პარტიას ნიადაგი გამოეცალა.

პარიზისა და მაშასადამე მთელი საფრანგეთის საქმეებზე დიდი გავლენა ჰქონდა ამ დროს სამ კაცს დანტონს, რობესპჲერს და მარატს.

დანტონი თავისი მოყვანილობით, ხმითა და ორატორული ნიჭითა და მაღალგონიერებით მირაბოსა ჰგავდა.

მეორე დიდი პიროვნება იყო ნიჭიერი პუბლიცისტი მარატი. მისი გაზეთი—,,ხალხის მეგობარი''—მდაბიო ხალხის მოსარჩლე იყო, მაგრამ მისი დიდი ნაკლულოვანება ის იყო, რომ არავის არ ენდობოდა და თავისი მიზნის განხორციელება შეშინებითა და სისხლის ღვრით სწადდა.

რობესპჲერს არა ჰქონდა დანტონისებური ორატორული ნიჭი, მაგიერად ცბიერი, მედგარი და ულმობელი იყო მტრებთან ბრძოლაში და ამიტომ ბოლოსდაბოლოს რევოლჲუციის სათავეში მოექცა, ვიდრე მის მიერვე აშენებული პოლიტიკური სისტემა არ დაინგრა და თვით ისიც ქვეშ არ დაატანა.

10 აგვისტ 1892 წ. რევოლჲუ-

შირდება მხოლოდ მაჰმადიანებმა მოლაპარაკება აქვთ ოსმალეთთან.

ნიჟნინოვგოროდში. აღიძრა საკითხი სამხედრო სამრეწველო კომიტეტის ქვედა პალატის გახსნისა.

სტოკჰოლმი. ბერლინიდან იუწყებიან: ლიბკნეხტის მეთაურობით მოხდა დიდი მანიფესტაცია ზავის სასარგებლოდ. შეკრებილ ხალხს ლიბკნეხტი მოწოდებებს ურიგებდა, ეს ამბავი მომხდარა 1 მაისს რისთვისაც დაატუსაღეს, ლიბკნეხტი, და სახელმწიფოს მოღალატეობა დასწამეს რეიხსტაგში ამ ბოლო დროს სოცდემ. ფრაქციის წევრებმა მისი განთავისუფლება მოითხოვეს მაგრამ მთავრობამ უარი განაცხადა.

ინგლისის ასპარეზი.

საფრანგეთში ფრიკურასთან სანაღმოსნო ბრძოლა ხდებოდა სუშას მიულლუხის და კინუს ხაზზე მდგომარეობა არ შეცვლილა. სეტელუასთან საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა ბუასელთან მტერი ჩვენს პოზიციებს კუმბარებს უშენდა.

იტალიის ასპარეზი.

რომი. მთელ ფრონტზე ჩვეულებრივი საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა. კარსოსთან ჩვენ ნაღმი ავაფეთქეთ საერთოდ ბრძოლის პირზე საყურადღებო ცვლილება არ მომხდარა.

რუსეთი.

სამხედრო სამრეწველოების აღსასრული

გაზეთ „რუსკოე სლოვოს“ გადმოცემით, მთავრობის წრეებში ამ ჟამად სამხედრო სამრეწველო კომიტეტების მოღვაწეობაზე მსჯელობენ. ამ საკითხის გამო შტიურმერი შუაევს მოელაპარაკა და სამხედრო-სამრეწველო კომიტეტების ბედის გადაჭრა სენატორ გარინს მიანდო. რომელსაც მიენიჭება უფლება, რომ სამხედრო სამრეწველო კომიტეტების წინააღმდეგ ზომები მიიღოს, თუნდაც ეს ზომები კომიტეტების დახურვაში გამოიხატოს, ამ კითხვის დეტალურათ გარჩევა კი მიენდობა თათბირს, რომელიც 15 გუბერნატორისგან შესდგებოდა და თავმჯდომარეობას თვითონ შტიურმერი გასწევს ახლა კი ყველასთვის აშკარა უნდა იყოს, თუ რა მოელის სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებს შტიურმერისა, მემარჯვენე გრინისა და 15 გუბერნატორის ხელში.

სუხომლინოვის გარეშემო.

— შტიურმერი ხვოსტოვს ესტუმრა და დიდხანს ისაუბრა მასთან სუხომლინოვის საქმეზე.

— გაჩხრეკის დროს სუხომლინოვის ბინაზე ქალამნები და რუსის გლეხის არხალუკები (ზედატანისამოსი) ნახეს. სუხომლინოვმა შეკითხვაზე ამის გამო სენატორ ბოგოროდსკის უპასუხა: გრთობა მიყვარდა და ხშირად გლეხის ტანისამოსში ვეწყობოდით.

— გამოძიებამ გამოარკვია, რომ სუხომლინოვის ტელეგრაფის მიწერმოწერას ბოლო ხანებში ეჭვის თვალით შეხედეს, რადგან ის ხშირათ ქარაგმებს ხმარობდა, ამიტომ კანტროლს უკეთებდენ ხოლმე.

გამოირკვა ისიც, რომ სუხომლინოვი იმამდე, როცა ის საზღვარ გარეთ მიდიოდა, ვენაში ალტშულლერის აგარაკზე ატარებდა დროს. მასპინძელი ალტშულლერი მას მეტ საჰელათ „ათასიანს“ უწოდებდა თურმე. ამ ალტშულლერს ომის დროს სუხომლინოვის შუამდგომლობით პეტროგრადში ცხოვრების ნება მისცეს და მომქმედ ჯარის საიჯარო საქმეებიც გადასცეს. შემდეგ, როცა ალტშულლერის შულლერობა აშკარავდებოდა, მან თავს უშველა და საზღვარ გარეთ გაიქცა.

— პასუხის გებაში აძლევენ აგრეთვე სუხომლინოვის ნათესავ ქალებს: ქ. ქ. შ. დოროგანს და ჩერევიცკაიას.

— სუხომლინოვი დაჭერას რომ სულაც არ მოელოდა იქედან სჩანს, რომ მან ერთხელ ერთ თავის ახლობელ დიდ მოხელეს უთხრა: ჩემ საქმეს რომ „მოსპობენ“ იმედი მაქვს ჯარში რაიმე უბრალო ადგილს მაინც დამიბრუნებენო სუხომლინოვი ბევრს „ეცადა“ თურმე. რომ მისი საქმე მოესპოთ“, და როცა პოლივანოვი სამხედრო მინისტრის ადგილიდან გადააყენეს, სუხომლინოვს იმედი მიეცა, რომ მისი საქმე მალე ჩაქრებოდა. შემდეგ შუაევთან და შტიურმერთან შეეცადო, რომ საქმე გამქრალიყო, მაგრამ როგორღაც „საქმე ველარ ჩაიფარცხა“ და მთელი თავისი საშინელებათ თავი წამოყო.

ნურმა კომუნამ 13 აგვისტოს 1792 წ. მიიღო შემდეგი დადგენილება: „უნდა წარვუდგინოთ ადრესი საკანონმდებლო კრებას, რომ მან საფრანგეთის სახელით შემდეგი გამოაცხადოს: საფრანგეთის ერი სხვათა ქვეყნების დაპყრობაზე უარს ამბობს, მაგრამ ეხმარება მეზობელ სახელმწიფოთ, რომელთაც კი სწადიათ განითავისუფლონ თავი მონობისაგან“

24 აგვისტოს 1792 წ. ზოგიერთმა პეტიციონერმა საკანონმდებლო კრებას წინადადება წარუდგინა, რომ საფრანგეთის მოქალაქის წოდება ყველა უცხოელი ფილოსოფოსისათვის მიენიჭებიათ, რომელიც კი მამაცურად იცავდა თავისუფლების საქმესა და ემსახურებოდა კაცობრიობას. და 26 აგვის. გადეს მოხსენების მოსმენის შემდეგ საკანონმდებლო კრებამ დაადგინა, საფრანგეთის ერი უცხოელებად ვერ ჩათვლის მათ, ვინც ხალხთა თავისუფლების საქმეს შველოდაო, და საფრანგეთის მოქალაქის წოდება მიანიჭა: ჯოზეფ პრისტლეჲს, ტომას პენს, იერემია ბენტამს, ჯეკ მეკინტოშს, ანაქარსის კლოოტს, ნ. პესტალოცცის, გეორგ ვაშინგტონს, ჯონ ჰამილტონს, ნ. მადისონს, გ. კლოპშტოკს თადეოზ კოსციუშკოს, შილლერსა და სხ.

ანაქარსის კლოოტსი, შესანიშნავი პრუსიელი რესპუბლიკელი, მეორე დღეს საკანონმდებლო კრების ხარიხასთან მივიდა და შეფიცა მსოფლიურ ეროვნებას, თავისუფლებასა და კაცობრიობას. მე ყოველთვის ფრანგთა მოყვარე ვიყავი, ფრანგის გული და სანკიულოტის (პროლეტარის) სული მაქსო“. და მისი სიტყვა ტაშის გრიალით დააჯილდოეს.

ამგვარად აგვისტოსა და სექტემბერში 1792 წ. უნიტარულის, ე. ი. გაერთიანებულის, ცენტრალისტურის, კომუნურისა და მქადაგებელი რესპუბლიკის იდეამ მოიპოვა ნიადაგი.

მაშასადამე, ერთი წლის განმავლობაში, როდესაც საკანონმდებლო კრება მუშაობდა, საფუძველი ჩაეყარა დემოკრატიულ სამოქალაქოსა და პოლიტიკურ წესწყობილებას, რომელიც, თუმცა კონტრევოლუციის მიერ უარყოფილ იქნა, მაგრამ კვლავ ხან ცოცხლდებოდა და იზრდებოდა და ხან იჩრდილებოდა მეცხრამეტე საუკუნეში, ვიდრე ბოლოს მტკიცე ნიადაგი არ მოიპოვა.

იმავე დროს ჩაისახა საერთაშორისო ძმობისა და ერთობის იდეა.

და ამ დემოკრატიული წესწყობილებისა და საერთაშორისო იდეის გამარჯვება ეროვნულის. საერთო მოძრაობის შედეგი იყო.

მაგრამ უკვე ამ ხნის დასასრულს დაიწყო ეროვნული რღვევა, პარტიული განხეთქილების ნიადაგზე აღმოცენებული. რომელიც კონვენტის დროს თანდათან უფრო გაიზარდა და გაძლიერდა, ვიდრე კონვენტიც არ იმსხვერპლა და რევოლუციასაც ბოლო არ მოუღო.

საკანონმდებლო კრების უკანასკნელი სხდომა 19 სექტემბერს იყო, კონვენტის პირველი სხდომა კი 20 სექტემბერს 1792 წლისა.

ვასილ წერეთელი.

კრება ჩვენში.

(იხ. „სამშობლო“ № 343.)

თავ. აფხაზმა მიესალმა მეფის ნაცვალს შემდეგი სიტყვით:

სიხარულის გრძნობით აღელვებულნი მოვესალმებით თქვენს აქ ყოფნას, კავკასიის უძველეს ხალხთა წარმომადგენელთა შორის. აგერ, ჩვენის სახით თქვენ შემოგყურებსთ ორი ათასი წლის შეგნებული ისტორიული სიცოცხლე მათი შთამომავალნი აწ წარმოვდგენილვართ თქვენს წინაშე და უღრმესი რწმენით და იმედით შემოგყურებთ ჩვენი მხრის უავგუსტოეს მართველს, რომელმაც თავს იდეთ უდიდესი ზრუნვა ქვეყნისა, უდიდესი ზრუნვა ჩვენი საზოგადოებრივი და ეკონომიური ცხოვრების მოწესრიგებისა თვით ომის დაწყების დღიდანვე.

თქვენმა იმპერატორობითი უმაღლესობამ არა თუ მოიწონეს რუსეთის ერთა შეერთებული მოქმედება ერობათა და ქალაქთა კავშირების სახით არამედ შთაუნერგეთ კიდეცა ის გმირული თავგანწირული სიყვარული მუშაობისა, რომლის მოწამეც არის სახელოვანი და დიდებული არმია რუსეთის იმპერიისა.

იმავე დროს ასწაულმოქმედებრივი სახით [illegible] იქმნა უხილავი ძაფები უძვირფასესი საკაცობრიო გრძნობებისა, სიყვარულისა და თქვენი იმპერატორობითი უმაღლესობის სათნო პატივისცემისა; რაიც ჯადოსნურ სახით გადაბმულ იქმნა თქვენი გულის ძაფებით მთელს რუსეთთან ერთად.

კავკასიაში მობრძანების უმალ, როგორც თქვენს საგამგებლო ქვეყანაში, თქვენ განსჭვრიტეთ ძალა და მნიშვნელობა საზოგადოებრივ დაწესებულებათა დღევანდელ დღისთვის, განსჭვრიტეთ აგრეთვე, რომ ერობათა დაწესებულებების სწრაფი შემოღება გაარკვევს ჩვენს სულიერს და ნივთიერს საშუალებათ ჩვენი სახელმწიფოს დასაცველად, ამიტომაც ბრძანეთ თქვენ დაუყოვნებლივ შემუშავებულიყო კავკასიაში ერობის დაწესებულებათა საკითხი. აქტი, რაიც შესრულებულ იქმნა თქვენ მიერ, თანასწორია ისტორიული აქტისა გლეხთა ბატონყმობისაგან განთავისუფლების შესახებ. უღრმესად გაბედნიერებულად ვგრძნობთ თავს თქვენთან ერთად, რომ შევუდგებით შემოქმედებითი მუშაობას

მაშ ნება მოგვეცით, თქვენო იმპერატორობითო უმაღლესობავ, მოგთავაზოთ ჩვენი უქვეშევრდომილესი სურვილები: მოგცეთ უფალმა ღმერთმა ძალა, აკურთხოს წმიდანი საქმენი თქვენი დიდი ხელმწიფის სასიხაროლოდ და თქვენდა რწმუნებულ კავკასიის საბედნიეროდ.

აბხაზის შემდეგ ქალაქების თვით მართველობის სახელით სიტყვით მიჰმართა ბ. ხატისოვმა.

ამის შემდეგ კრებას ხსნის თვით მეფის ნაცვალი დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე.

დიდი მთავარი ბ-ბო, შრომის გასაადვილებლად საჭიროა სექციებით დაყოფა. ამიტომ პირველი საკითხი, რომელიც კრებამ უნდა განიხილოს, არის შემდეგი: რამდენი სექცია იქნება საჭირო და რა და რა კითხვები უნდა იქმნეს შეტანილი ამა თუ იმ სექციაში. ჩემს მოადგილეთ ვნიშნავ ჩემს თანაშემწეს თავ ორლოვს, რომელიც მუშაობას ბოლომდე გაუძღვება.

მეფის ნაცვალი დარბაზს სტოვებს, ვაშას ძახილით

თავ ორლოვი დიდმა თავადმა კეთილი ინება და თვის მოადგილეთ დამნიშნა მე: ბ-ბო, თუ სამსახურის გამო მომიხდება თბილისიდან სხვადასხვა კუთხისკენ გამგზავრება, ჩემს მოადგილეობას გასწევს ბ. ალიშევსკი.

თავ. აფხაზი. იმ პროგრამაში, რომელიც ჩვენ დაგვირიგეს არის მრავალი ისეთი კითხვები რომელიც აუცილებლივ უნდა პირველად განხილულ იქმნეს საერთო კრებაზე მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც შემუშავებული იქნება სახელმძღვანელო დებულებანი, უნდა დავიყვნეთ სექციებად. ჩემის აზრით ჩვენი მუშაობის დროს უსათუოდ უნდა ვემყარებოდეთ იმ ერობას, რომელიც ახლა არსებობს რუსეთში და რომელიც შემოღებულ იქმნა 1890 წელს. აუცილებლივ საჭიროა ჩვენთვის ერობა და რაც კი შეიძლება მალე. მგონი ყველა ჩვენგანი გრძნობს, კიდეც ამას აი, ამიტომ. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ უნდა ისეთი ერობის პროექტი შევიმუშაოთ, რომლის განხორციელებას მრავალი დაბრკოლებანი არ გადაელობებიან. ყველამ კარგად ვიცით, თუ რამდენი ინსტანცია აქვს გასავლელი ერობის პროექტს. თუ ჩვენ ჩვენი პროექტი არ შევუფარდეთ უკვე არსებულს, და ახალს სრულად ყველასთვის უცნობს ერობის პროექტს წარუდგენთ, ცხადია რომელიმე ინსტანციაში მაინც მოითხოვენ უფრო მეტის მასალის მოწოდებას, ამა თუ იმ საკითხის გამორკვევას, მეტს წინააღმდეგობას გაუწევენ და ერობა დასამარებული იქნება. ამასთანავე უნდა მოვაგონოთ, რომ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატთა რწმუნებულება თავდება 1917 წელს. თუ ჩვენ ამ დრომდე არ მოვახერხეთ, რომ ერობა სათათბიროში განხილულ იქმნას, მაშინ ადვილი შესაძლებელია ახალ სათათბიროში ბევრი ახალი დამაბრკოლებელი მიზეზი გამოუჩნდეს და ერობა ჩვენში ისევ პროექტად დარჩება

ორეცკიი. თქვენო ბრწყინვალებავ, აქ დასმული იყო ის საკითხი, თუ რამდენ სექციათ უნდა დავიყვნეთ. თავ აბხაზი კი ცდილობს იმის განმარტებას, თუ რამდენად ხელსაყრელი იქნება ჩვენთვის, თუ მუშაობის დროს ვიხელმძღვანელებთ 1890 წლის ერობის ძირითად მუხლებით.

თავ. აფხაზი მე ვამ
რომ მთელი რიგი კითხვებისა
საერთო კრებაზედ უნდა განი
ლოთ. მხოლოდ შემდეგ
იქნება სექციებად დაყ

ვერმიშევი. მართალია, სანამ სე
ციებად დავიყოფოდეთ, ზოგიერ
კითხვები საერთოდ უნდა განვიხ
ლოთ

არუთინოვი. ჩემის აზრით ს
იქნება ოთხი სექცია. (ორატორ
მოახსენებს კრებას თუ რადა
მუხლები უნდა იქმნეს შეტანი
სექციებში).

ი. ზურაბაშვილი. მხოლოდ ი
შემდეგ, როდესაც გამორკვეულ
იქნება საერთო დირექტივები უნ
დავიყვეთ სექციებათ. საზოგადო
ერობა აშენებულია სამ ძირით
დებულებაზედ. ამ გვარადვე საჭირ
ჩვენთვის სამი სექცია პირველი სე
ცია განიხილავს იმ საკითხს, თუ
ტიპის ერობაა ჩვენთვის საჭირ
მეორე—ცენზს და მესამე—ერობ
ფინანსებს.

ტოფჩიბაშევი სანამ სექციებ
დავიყოფოდეთ, აუცილებლივ საჭი
როა გამოვარკვიოთ ის დებ
ლებანი, რომელნიც საძირკვლ
უნდა დაედოს მომავალ ერობა
წარმოუდგენელიც არის უამისო
სექციებში მუშაობა არც ნაყოფ
ერი იქნება ეს მუშაობა, თუ ჩვ
ყველას არ გვექნება წინდაწინ
გარკვეული საერთო მთავარი მუ
ლები. სრულიად ვეთანხმები თა
აბხაზს თუ ჩვენ მივიღებთ 18
წლის ერობას, მაშინ სექციე
უეჭველია ამ ერობით იხელმძ
ლებენ და მუშაობაც გაად

(შემდეგი იქნება).

ქუთაისი.

ძმ. ყორყოლაძეების მაღაზიაში
(მიხეილის ქუჩა საკუთარი სახლი).
მიღებულია ვენახის ასაკრავ
საუკეთესო
ქილი. იქვე იყიდება ყოველგვარი საბაკალეიო საქონელი. ფასები ყველაფერზე ზომიერია.

უკაცობა და ნევრასტენია.

უკაცობისა და ნევრასტენიის დროს ავათმყოფები დიდი სიფრთხილით უნდა მოიქცნენ სამკურნებელ საშუალებათა ამორჩევაში. ბევრგვარი საშუალება არსებობს, რომელიც დროებით ამაგრებს ნერვიულ სისტემას, ხოლო შემდეგ უფრო ავითარებენ ავათმყოფობას. ნამდვილ მეცნიერულათ მომზადებულ და ცნობილ პროფესორებისაგან მოწონებულ საშუალებათ უკაცობის დროს ითვლება რადიკალური ფრანგული პრეპარატი

გრანული ექ. გლეზისა.

გრანული ექ. გლეზისა მრავალნაირათ გამოსცადეს ევროპის საუ კლინიკებში და მეცნიერების წარმომადგენლებისაგან ცნობილ იქნა, როგორც რადიკალური და უტყუარი საშუალება სხვადასხვაგვარ ფორმის სქესურ იმპოტენციის და ნერვიულ სისუსტის წინააღმდეგ წამლობისათვის. **გრანული** ექ. გლეზისა პირდაპირ მოქმედებს ნერვიულ—სქესურ ცენტრზე, რომელიც სქესურ მოქმედებას ხელმძღვანელობს, ამაგრებს მათ სპობს სისუსტეს და აახლებს ნორმალურ სქესურ ფუნქციებს. ამასთანავე **გრანული** მთელს ნერვიულ სისტემას ასაზრდოებს ფოსფორით, ამაგრებს მთელს ნერვიულ ძაფებს, სპობს სისუსტეს, უმატებს ძალას, სპობს სულით დაავადმყოფობას, გულის ცემას, თავის ტკივილს და სხვა ნიშნებს ნევრასტენიისას. **გრანული** ექ. გლეზისა—ერთადერთი საშუალებაა, რომელსაც აუცილებლათ ურჩევენ გამოჩენილი პროფესორები ყოველგვარ სისუსტის წინააღმდეგ და დიდი წარმატებით ხმარობენ ევროპის სანატორიებში, კლინიკებსა და საავადმყოფოებში.

გრანული იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საექიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა“ **ა. შავერზაშვილის** სააფთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ერთი ყუთისა—6 მანეთი. სრულ გათავისუფლებისათვის საჭიროა 2—3 ყუთი.

მრავალ მოწონებათა შორის, რომელიც გამოთქმულია პროფესორებისა, ექიმებისა, და ავათმყოფების მიერ, უადგილობის გამო აქ მოგვყავს მხოლოდ ერთი ცნობილი ექიმის—სტატსკი სოვეტნიკის ვ. ვ. ხრულის 50 წლის პრაქტიკანის აზრი ამ წამლის შესახებ.

მ. ხ. ექ გლეზის მიერ მომზადებული პრეპარატი მე ვიხმარე სამი მხცოვანი ავათმყოფის წამლობის დროს და დავრწმუნდი, რომ პრეპარატი ექ. გლეზისა შეუდარებელ და უტყუარ საშუალებათ ვსცანი. თუნდაც დოზა საწყაო დღეში ორჯერ რომ მიიღოს ავათმყოფმა, ათი დღის შემდეგ უკვე დარწმუნდება ამ წამლის წარმატებაში. 48 წლის პრაქტიკის დროს მე ბევრგვარი საშუალება მიხმარია ახლათ თუ ძველათ გამოგონილი, მაგრამ სიმართლე უნდა ვსთქვა, რომ გლეზის პრეპარატს პირველი ადგილი უკავია მათ შორის ნერვების გამაგრებისა და კაცობის აღდგენაში. (წლიური) 9 დოკტ. სტ. სოვ. ვიკენტი ვიკენტის ძე **ხრული**.

მსწრაფლმბეჭდავი სტამბა ალ. კობრეიძისა—ქუთაისში.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან

ეროვნული ბიბლიოთეკა